



## შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი“

---

### სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკის დებულება

#### 1. ზოგადი დებულება

- 1.1 აღნიშნული დებულება არეგულირებს შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ პროფესიულ სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- 1.2. სტუდენტთა პრაქტიკა საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელი ნაწილია, განისაზღვრება და მტკიცდება მასთან ერთად;
- 1.3. პროფესიული სტუდენტები პრაქტიკას გადიან კერძო ან საჯარო სამართლის ორგანიზაციებში, რომლებთანაც შპს „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტს“ დადებული აქვს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი /ხელშეკრულება/ პრაქტიკის გავლის შესახებ.

#### 2. პრაქტიკის მიზნები და ამოცანები

- 2.1. პროფესიული პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს:
  - 2.1.1. პროფესიული განათლებისა და მიღებული თეორიული ცოდნის დაკავშირება პრაქტიკასთან;
  - 2.1.2. სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენება, სპეციფიკური უნარ-ჩვევების გამომუშავება;
  - 2.1.3. პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მომზადება მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.
  - 2.1.4. პროფესიული სტუდენტებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა დაკავშირება პრაქტიკანტთა შემდგომი დასაქმების მიზნით.
- 2.2. პრაქტიკის ამოცანები:
  - 2.2.1. პრაქტიკის ამოცანები განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ შემუშავებული და დირექციის მიერ დამტკიცებული პროგრამით, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით.

#### 3. პრაქტიკის პროგრამა

- 3.1. პრაქტიკის პროგრამაში განისაზღვრება:

- პრაქტიკის მოცულობა
- პრაქტიკის ხელმძღვანელი
- პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობები
- პრაქტიკის მიზანი
- სწავლების მეთოდები
- პრაქტიკის შედეგები
- პრაქტიკის შინაარსი
- პრაქტიკის განმავლობაში პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი

#### 4. პრაქტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპები

4.1. პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ შპს „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტსა“ და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციათა შორის თანამშრომლობის საფუძველზე, რომელიც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებით.

4.2. პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- უზრუნველყოფს შესაბამის გარემოს დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად;
- ნიშნავს ხელმძღვანელს, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოში სტუდენტთა ზედამხედველობაზე;
- ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკის მიზნობრივად გავლაში;
- უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს;
- მონაწილეობას ღებულობს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებისას;

4.3. პრაქტიკას წინ უძღვის სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით. პრაქტიკამდე პრაქტიკის ხელმძღვანელი უნდა დარწმუნდეს, რომ სტუდენტმა იცის თავისი უფლებები და მოვალეობები:

- უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ;
- პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ;
- პრაქტიკის შეფასების შესახებ.

4.4. დაწესებულება თავის მხრივ ნიშნავს პრაქტიკის ხელმძღვანელს (მენტორი). პრაქტიკის მენტორი ხელმძღვანელობს პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლას.

#### 5. სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზაცია

5.1. პრაქტიკის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- მოსამზადებელი შეხვედრა, სტუდენტთა ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ;
- პრაქტიკის ადგილის გაცნობა ხელმძღვანელის მიერ;
- სამუშაო პროცესში ჩართვა;
- პრაქტიკის განმავლობაში პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება.

## **6. პრაქტიკის ხელმძღვანელი**

### **6.1. პრაქტიკის ხელმძღვანელი:**

- ამყარებს კონტაქტს პრაქტიკის ობიექტზე ხელმძღვანელთან და ათანხმებს მასთან სტუდენტთა ინდივიდუალურ დავალებებს პრაქტიკის შედეგების მისაღწევად;
- ახორციელებს სტუდენტთა ყოველდღიურ ხელმძღვანელობას და პრაქტიკის პროგრამის შესრულების კონტროლს.
- ახორციელებს თითოეულ სამუშაო ადგილზე სტუდენტებისათვის უსაფრთხო მუშაობის პირობების შექმნას;

## **7. სტუდენტის უფლება და მოვალეობა**

### **7.1. სტუდენტს აქვს უფლება:**

- მიიღოს კონსულტაციები პრაქტიკის საკითხებზე პრაქტიკის ხელმძღვანელთან;

### **7.2. სტუდენტი პრაქტიკის დროს ვალდებულია:**

- გაიაროს პრაქტიკა განსაზღვრულ ვადებში;
- დროულად, ზუსტად და სრულად შეასრულოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ გაცემული ინდივიდუალური და ჯგუფური დავალებებით გათვლისწინებული ამოცანები და შეაგროვოს საჭირო მასალები;
- ზუსტად დაიცვას უსაფრთხოების ნორმები;
- დაიცვას პრაქტიკის დაწესებულების სამუშაო რეჟიმი;

## **8. პრაქტიკის საბოლოო შეფასება**

8.1. პრაქტიკის პერიოდში პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება სილაბუსში გაწერილი წესების დაცვით. პრაქტიკის შეფასება ხორციელდება კოლეჯში მოქმედი 100 ქულიანი სისტემით.

8.2. პროფესიული პრაქტიკის შეუსრულებლობისათვის, დადებითი შეფასების ვერ მიღების შემთხვევაში სტუდენტი განმეორებით გაივლის პრაქტიკას იმ ნაწილში, რაშიც მიიღო უარყოფითი შეფასება.